ოქმი #5

# ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ქ. ცაგერი 27 მარტი, 2024 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, მ. ყურაშვილი, დ. მუშკუდიანი, ო. ჩაკვეტაძე, მ. მამარდაშვილი, თ. ნემსწვერიძე, ნ. ბურჯალიანი, გ. გოგებაშვილი, ნ. ტვილდიანი, გ. გურგუჩიანი, რ. ყურაშვილი, მ. მურცხვალაძე, გ. კოპალიანი, დ. მურცხვალაძე, ი. ყურაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. მახარობლიძე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მ. ლეთოდიანი
მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გ. ხმელიძე

საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

## დღის წესრიგი

**დადგენილება:**

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

**განკარგულებები:**

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, კ. მუშკუდიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2024 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ლ. ზალკალიანი, მ. თოდიძე, ზ. ხეცურიანი/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ.ცაგერში მდებარე ყოფილი პოლიციის შენობის (ს.კ. 89.03.22.181) მეორე სართულზე არსებული 100 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით - სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო ,,უზუფრუქტი") არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირისთვის ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის" (ს/ნ 242574576) გადაცემის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

4. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შექმნის ცნობად მიღების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, თ. ჭაბუკიანი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 24 დეპუტატი/

**დადგენილება:**

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მამუკა ლეთოდიანმა განმარტა, რომ ბიუჯეტში მეოთხე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის განკარგულება ,,სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, რომლის მიხედვითაც ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა არაუმეტეს 36 000 ლარი, რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში, ხოლო გადასახდელებში ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები ასევე დაკავშირებულია მიზნობრივ ტრანსფერთან, რომელიც ცაგერის მუნიციპალიტეტისთვის განისაზღვრა 25 000 ლარით, რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში, ხოლო გადასახდელებში ,,ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა“.

აღსანიშნავია, ასევე რომ მიმდინარე ეტაპზე ზოგიერთი პროგრამის და ღონისძიების ფინანსური უზრუნველყოფაა საჭირო, მათ შორის ,,ინფრასტრუქტურის განვითარება“ და ,,კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის განვითარება“. კერძოდ შემცირდეს კეთილმოწყობის ღონისძიებები და გაიზარდოს რეგიონალური პროექტების პროექტირება და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება 10 000 ლარით, ა(ა)იპ ,,ფრენბურთის კლუბი ცაგერი“-ს სუბსიდია 4 200 ლარით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის განკარგულება ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, რომლის მიხედვითაც ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა არაუმეტეს 5 010 076 ლარისა, მიმდინარე ეტაპზე გამოყოფილი თანხა შეადგენს 593 314 ლარს, რომალიც შემოსავლებში აისახება გრანტებში, ხოლო გადასახდელებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 654 313 ლარით და შეადგინა 22 211 700 ლარი.

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, ო. ჩაკვეტაძემ, ჭ.ჭაბუკიანმა

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა დეპუტატმა,
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 16
წინააღმდეგი: 8

/მ. მურცხვალაძე, დ. მურცხვალაძე, გ. კოპალიანი, ი. ყურაშვილი,
ნ. ტვილდიანი, რ. ყურაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. მახარობლიძე/

**განკარგულებები:**

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, კ. მუშკუდიანი/

აზრი გამოთქვეს: რ. ხეცურიანმა, მ. ხაბულიანმა, ჭ.ჭაბუკიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა დეპუტატმა,
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 16
წინააღმდეგი: 8

/მ. მურცხვალაძე, დ. მურცხვალაძე, გ. კოპალიანი, ი. ყურაშვილი,
ნ. ტვილდიანი, რ. ყურაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. მახარობლიძე/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2024 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ლ. ზალკალიანი, მ. თოდიძე, ზ. ხეცურიანი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა დეპუტატმა,
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 24
წინააღმდეგი: 0

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ.ცაგერში მდებარე ყოფილი პოლიციის შენობის (ს.კ. 89.03.22.181) მეორე სართულზე არსებული 100 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით - სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო ,,უზუფრუქტი“) არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირისთვის ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ (ს/ნ 242574576) გადაცემის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას წერილით მომართა არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირის ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს ხელმძღვანელმა თეა გურგუჩიანმა და მოითხოვა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში მდებარე ყოფილი პოლიციის შენობის მეორე სართულზე არსებული 100 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით - სარგებლობის უფლებით (უსასყილო უზუფრუქტი) გადაცემა ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრის საჭიროებისთვის და კანონმდელობის შესაბამისად ფუნქციონირების მიზნით.

კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერი ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან ითხოვს თანხმობას აღნიშნული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში მდებარე ყოფილი პოლიციის შენობის მეორე სართულზე არსებული 100 კვ.მ. ფართის არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირისთვის ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრი"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით - სარგებლობის უფლებით (უსასყილო უზუფრუქტი) გადაცემის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ზ. ყურაშვილმა, ი. ყურაშვილმა, ჭ.ჭაბუკიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა დეპუტატმა,
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 24
წინააღმდეგი: 0

4. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" შექმნის ცნობად მიღების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/ჭ. ჭაბუკიანი, თ. ჭაბუკიანი/

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ თამაზი ჭაბუკიანიმა განმარტა, რომ აღნიშნულ განკარგულებაში ცვლილება გამოიწვია ფრაქციისათვის სახელის შეცვლამ, კერძოდ, ფრაქციას ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს ექნება სახელწოდება,,ახალი".

ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად.
(განკარგულება თან ერთვის)

**საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი**